Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
#8, თებერვალი, 2019

შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების რეპრეზენტატულობა 21-ე საუკუნის ჰოლივუდის ფილმებში

მიხეილ ოსიშვილი
ბესიკი გრძელიძე

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mishikoosishvili1@gmail.com

აბსტრაქტი

დღეს აქტუალურია მენტალური პრობლემების, კერძოდ კი, შიზოფრენიის, მქონე ინდივიდების საზოგადოებაში სოციალიზაციის თემა. ამგვარი პრობლემების მქონე უამრავი ადამიანი განიცდის დისკრიმინაციას, რაზეც გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები, რომლებსაც, ხშირ შემთხვევაში, აყალიბებს ფილმები. კვლევის მიზანი იყო შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების რეპრეზენტატულობის საკითხის შესწავლა 21-ე საუკუნის ჰოლივუდის ფილმებში. ამ მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა ძირითადი ამოცანები: როგორ ხასიათდებიან შიზოფრენიის მქონე ადამიანები ფილმებში და როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ. კვლევის ფარგლებში ჩატარდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, რომელმაც ჯამში მოიცვა 10 ფილმი. ისინი სისტემური შერჩევის პრინციპით შეირჩა. კვლევისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შემდგომ, გამოვლინდა 2 ძირითადი შედეგი: შიზოფრენიის დაავადების მქონე ადამიანები ძირითადად ხასიათდებიან, როგორც მარტოსულები, საკუთარ თავში ჩაკეტილები. მათი უმეტესობა შვებას საკუთარ საქმიანობაში პოულობს, რაშიც უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა წარმატებასაც კი აღწევს, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად. რაც შეეხება საზოგადოების დამოკიდებულებას ასეთი ადამიანების მიმართ, ის, უმეტეს შემთხვევაში, უარყოფითია. ამის განმაპირობებელი ფაქტორი არის სოციუმში გავრცელებული სტერეოტიპული აზროვნება, რაც, ასევე, იწვევს მენტალური პრობლემების მქონე ადამიანების სტიგმატიზაციას. საბოლოოდ, კვლევამ აჩვენა, რომ შიზოფრენიით დაავადებულები საზოგადოებისგან განცალკევებულები არიან. ოჯახი და მეგობრები ძირითად გამოსავალს ეძებენ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში და უპირატესობას ანიჭებენ მკურნალობის ამ მეთოდს, სადაც უამრავი სასტიკი ხერხით უსწორდებიან მსგავსი პრობლემების მქონე ინდივიდებს. ფილმებიდან გამომდინარე აშკარაა ის არაეფექტური მიდგომა ამ ადამიანების მიმართ, რომელსაც იყენებს საზოგადოება, რაც იწვევს მათი სოციალიზაციის პროცესის გართულებას.

საკვანძო სიტყვები: მენტალური პრობლემები, შიზოფრენია, სტიგმატიზაცია, სოციალური ინტეგრაცია.

შესავალი

შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების სოციალიზაციის საკითხი ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს ნებისმიერ საზოგადოებაში, რადგან მათ სოციუმი აღიქვამს საშიშ ავადმყოფებად, რომლებიც იზოლირებულნი უნდა იყვნენ. ამ მხრივ, უამრავი არასწორი შეხედულებაა, რაც ხელს უწყობს არაჰუმანური გარემოს ჩამოყალიბებას ასეთი ინდივიდების მიმართ. ამაში გარკვეულ როლს თამაშობს ერთ-ერთი ისეთი სფერო, როგორიც არის კინოინდუსტრია.

ჰოლივუდის მიერ შექმნილი ფილმები შინაარსის და სიუჟეტის თვალსაზრისით მრავალფეროვანია, მათ შორის არის ისეთებიც, რომელთა მთავარი ფაბულაც მენტალურ პრობლემებს უკავშირდება. ფილმების უმეტესობა არასწორად წარმოაჩენს შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების სახეს, რაც ერთგვარად ხელს უწყობს საზოგადოებაში სტიგმებისა და სტერეოტიპების გაჩენას. ამას უამრავი უცხოური კვლევა ამტკიცებს. მაგალითად, 2006 წელს ჯეიმსონმა, რომერმა და ჯემისონმა ჩაატარეს კვლევა „უწყობს თუ არა ხელს გონებრივად

შეზღუდული ადამიანების შესახებ ფილმები პრობლემასთან არაეფექტურ გამკლავებას მგრძნობიარე ახალგაზრდებში?“ აქ საუბარია, რომ ფილმებმა, რომლებშიც ნაჩვენებია მენტალური პრობლემების მქონე ინდივიდები, შეიძლება მსგავსი დაავადებები წარმოაჩინოს უარყოფითად. ეს კი ხელს უწყობს გარკვეული სტიგმების გაჩენას საზოგადოებაში ამგვარი ადამიანების მიმართ (Jamieson, Romer, and Jamieson, 2006, გვ 29). შესაბამისად საინტერესოა, ნამდვილად რა სახით არიან წარმოჩენილები შიზოფრენიით დაავადებული ადამიანები და ემთხვევა თუ არა იმ რეალობას, რომელიც ჩვენს ირგვლივაა.

ამ საკითხის აქტუალურობის მიუხედავად, თითქმის არ მოიძებნება ლიტერატურა ქართულ რეალობაში. მხოლოდ რამდენიმე უცხოური კვლევაა ჩატარებული და ისინიც ძირითადად სხვა კუთხით განიხილავენ შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების ეკრანიზაციას. ჩვენ შემთხვევაში კი ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ როგორ წარმოაჩენს მათ ფილმები.

ლიტერატურის მიმოხილვა

მეცნიერული ინტერესი ფსიქიკური დაავადებების, შესახებ XIX საუკუნის ბოლოს იწყება და ემილ კრეპერის (Emil Creper) სახელს უკავშირდება. სწორედ მან დაიწყო რამდენიმე ფსიქიკური დაავადების შესწავლა, რომლებსაც ახასიათებდა ადრეულ ასაკში დაწყება და გონებრივი განვითარების დაქვეითების ჩამოყალიბება. შემდეგ უკვე 1911 წელს შვეიცარიელმა ფსიქიატრმა, ეიგენ ბლეილერმა (Eugen Bleuler) შემოიტანა ტერმინი “შიზოფრენია” (ნაკაშიძე, ყუბანეიშვილი, 1955).

რიჩარდ გერიგი (Richard Gerig) და ფილიპ ზიმბარდო (Philip Zimbardo) საკუთარ ნაშრომში „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ განმარტავენ, რომ შიზოფრენია ესაა ფსიქოპათოლოგიის მწვავე ფორმა, რომელიც ხასიათდება ინტეგრირებული პიროვნული ფუნქციონირების რღვევით, რეალობიდან გასვლით, აზროვნებისა და აღქმის დარღვევით. შიზოფრენია რთული სინდრომია, რომელსაც ინდივიდის ყოველდღიური სოციალური ცხოვრების საგრძნობი გაუარესება ახლავს თან. შიზოფრენიისათვის დამახასიათებელია არათანმიმდევრული, არალოგიკური აზროვნება (გერიგი, ზიმბარდო, 2009).

შიზოფრენიის შესახებ არსებული მოსაზრებების უმეტესობა ხშირად თავს იყრის ისეთ სფეროებში, რომლებიც კონკრეტულ სამეცნიერო ცოდნას არ ფლობს არსებული დაავადების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ნარატივების გიგანტს წარმოადგენს კინემატოგრაფია (Hyler, 1991).

იანსი არასენა (Yancy Aracena) 2012 წელს ჩატარებულ კვლევაში, „ფსიქოზი ფილმებში: სტიგმისა და პორტრეტების ანალიზი მომავლის ფილმებში“, საუბრობს იმის თაობაზე, რომ 1980-იანი წლებიდან გაიზარდა ამ თემისადმი ინტერესი. ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ მენტალური დაავადებების შესახებ ინფორმაციას ტელევიზია ხალხს არასწორად აწვდიდა, თუმცა, ამ მხრივ გადატრიალება მოახდინა ფილმმა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. ამის შემდეგ არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით მეტი ფილმი შეიქმნა. მათ შორის იყო დოკუმენტური ფილმებიც, რომლებმაც სცადა მენტალური ავადმყოფების შესახებ არსებული არასწორი სტიგმის შეცვლა.

საბოლოოდ, ტელევიზიებმა მენტალური პრობლემებისათვის უფრო მეტი დროის დათმობა დაიწყო (Aracena, 2012).

2000 წელს დერსი ჰააგ გრანელომ (Granello D. H) ჩაატარა კვლევა „ტელემაყურებელთა ჩვევები და ტოლერანტული დამოკიდებულება მენტალურად დაავადებული ადამიანების მიმართ“ კვლევის ფარგლებში იგი განიხილავდა მენტალურ დაავადებებს, კერძოდ შიზოფრენიას და მის მედიაში გამოვლენას. მან გამოკითხა 154 სტუდენტი. გამოკითხულთაგან 53-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მენტალურ დაავადებებზე მნიშვნელოვან ინფორმაციას ტელევიზიით იღებდა. კვლევამ გამოავლინა, რომ, რაც უფრო ხანგრძლივად უყურებდნენ სტუდენტები ფილმებში მსგავსი პრობლემების მქონე ინდივიდებს, მით უფრო ნაკლებად ტოლერანტულები ხდებოდნენ მენტალურად დაავადებულთა მიმართ, რასაც განაპირობებდა ის გარემოება, რომ ფილმებში ისინი ძირითადად წარმოდგენილნი არიან კაცისმკვლელ, სადისტ ადამიანებად (Granello, 2000).

მსგავსი შედეგი დაფიქსირდა დომინოს (Domino) მიერ 1983 წელს ჩატარებულ კვლევაში - ფილმის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინას“ გავლენა ფსიქიკური დაავადების მიმართ დამოკიდებულების შესახებ რომელშიც დაასკვნეს, რომ ფილმებში შიზოფრენიის არასწორად გამოხატული ან გადაჭარბებული სიმპტომები უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების აზრზე ამ დაავადების შესახებ. სტუდენტებს, რომლებიც უყურებდნენ „ვიღაცამ გუგლის ბუდეს გადაუფრინა“, უფრო მეტი უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ შიზოფრენიული პირების მიმართ, ვიდრე იმათ, ვისაც ეს ფილმი არ უნახავს. ეს აღქმა დროთა განმავლობაში დარჩა და დაავადების უფრო პოზიტიური გამოხატულებების ნახვის შემდეგ არ შეცვლილა (Domino, 1983).

პატრიცია ოუენმა (Patricia Owen) 2012 წელს მოამზადა „გასართობი მედიის მიერ შექმნილი შიზოფრენიის პორტრეტები: თანამედროვე ფილმების კონტენტ-ანალიზი“ კვლევა. ის დააკვირდა 1990-2010 წლებში გადაღებულ ფილმებს. მან მოძებნა 41 ფილმი, რომლებიც შიზოფრენიით დაავადებულთა თემატიკაზე იყო შექმნილი. ფილმების უმეტესობაში შიზოფრენია გვხვდებოდა სხვადასხვა სქესის, რასის, სოციო-ეკონომიკური სტატუსის, ასაკის და ხასიათის ადამიანებში. ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული იქნა შიზოფრენიით დაავადებული 42 პერსონაჟი რომელთა შორის 79% იყო მამაკაცი, ხოლო მათგან 95% კავკასიის რეგიონიდან. მსახიობების უმეტესობამ შიზოფრენიის პოზიტიური ნიშნები აჩვენა: 67%-ს ჰქონდა უცნაური ილუზიები, 62%-ჰალუცინაციები და 21%-ს არეული აზროვნება ან მეტყველება. ნეგატიური ნიშნები უფრო ცოტა დაფიქსირდა. 83%-მა კი ამ დაავადების გავლენით ძალადობრივი ქმედებები გამოვლინდა სხვების მიმართ. ფილმების უმეტესობაში არაა მითითებული, რამ გამოიწვია პერსონაჟის შიზოფრენია, მხოლოდ ფილმების ერთ მეოთხედშია დასახელებული ტრავმის ტიპები, რომელმაც გამოიწვია პერსონაჟის ფსიქიკური დარღვევა. ესენია ძირითადად ბავშვობაში გადატანილი სტრესი, ძალადობრივ გარემოში ცხოვრება, სიღარიბე და ა.შ. (Owen, 2012).

ნიკიტა დემარემ (Nikita Demare) 2016 წელს ჩაატარა კვლევა „შიზოფრენიის გაზვიადება და სტერეოტიპები თანამედროვე ფილმებში“. არსებულ კვლევაში საუბარია იმაზე, თუ რა ნეგატიურ სტერეოტიპებს შეიცავს ფილმები შიზოფრენიის შესახებ. აქ ჩამოთვლილია უარყოფითი ტიპაჟები, რომლებიც კატეგორიზდება სტერეოტიპებში: მკვლელობის მანიით დაავადებული, მეამბოხე, თავისუფალი სული და ა.შ. მეტი განსაკუთრებულობისათვის, მსახიობები ფილმებში ასახავენ

ძალადობას, შეურაცხმყოფელ გარემოში ცხოვრებას, არიან ზედმეტად ინდივიდუალურები და ცდილობენ, გამოიყენონ სიყვარული დაავადებისგან განსაკურნებლად. ფილმებში შიზოფრენია ძირითადად მოძალადე და ამავდროულად ჭკვიან ადამიანებში გვხვდება. ისინი ხშირად გროტესკულები არიან, ამის მიზეზი კი ისაა, რომ ფილმები იქმნება აუდიტორიის გასართობად (Demare, 2016).

შეჯამების სახით აღსანიშნავია ლევინის მიერ (Levin) 2001 წელს შექმნილი სტატია, „ძალადობა და ფსიქიკური დაავადებები: მედია ინახავს ცოცხალ მითებს“ (Violence and Mental Illness: Media Keep Myths Alive), სადაც აღწერილია, რომ ფილმებში, რომლებიც ეხება მენტალურ პრობლემებს, დაავადებული ადამიანების პორტრეტები შეიძლება იყოს ნეგატიური შემდეგი მიზეზების გათვალისწინებით: სტიგმა, გაუნათლებლობა, სტერეოტიპები და ა.შ. როდესაც ფილმს იღებენ ამ დროს უფრო დიდი ყურადღება ექცევა მის გასართობ ხასიათს. ბევრი რეჟისორი ფილმს იღებს საკმარისი ცოდნის გარეშე, რაც, რა თქმა უნდა, არასწორი ინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს. ეს კი განაპირობებს არსებული სტიგმების უფრო მეტად განმტკიცებას. ისინი ძალიან მარტივად მანიპულირებენ მაყურებელზე და ფილმებს, რომლებიც ეხება მენტალურ დაავადებებს, ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე აჩვენებენ. (Levin, 2001).

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების რეპრეზენტაციის შესწავლა 21-ე საუკუნის ჰოლივუდის ფილმებში. კვლევითი კითხვა შემდგომში მდგომარეობს როგორ არიან წარმოდგენილები შიზოფრენიით დაავადებული ადამიანები ჰოლივუდის ფილმებში?

თემის უკეთ შესასწავლად შეირჩა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი. მისი დადებითი მხარე არის ის, რომ შესაძლებელია განსხვავებული პერიოდის ფილმების შესწავლა და იმის დანახვა, თუ დროის ცვლილებასთან ერთად, როგორ იცვლებოდა ფილმებში წარმოდგენები შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მიმართ. თუმცა, აღნიშნულ მეთოდს თავისი სუსტი მხარეებიც გააჩნია, რაც დაკავშირებულია მეთოდის სუბიექტურობასთან. როგორც ცნობილია, თვისებრივი მეთოდების გამოყენებისას მოვლენის, ფაქტის, სიმბოლოსა თუ მოქმედების აღქმა დამოკიდებულია მკვლევრის ინტერპრეტაციის უნარზე.

რაც შეეხება შერჩევის დიზაინს, გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა 21-ე საუკუნის ჰოლივუდის ფილმები შიზოფრენიის თემატიკაზე. ფილმები შეირჩა სისტემური შერჩევის პრინციპით. ფილმების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა, ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კინოგვერდის „IMDb.com“-ის შეფასების სისტემა და განხილული ფილმების რეიტინგის მინიმუმ ზღვარს წარმოადგენდა 6.5. ამგვარად, შეირჩა შემდეგი ფილმები:

1. „ამერიკელი ფსიქოპატი“ („American Psycho“, 2000) 7.6
2. „თავშესაფარი“ („Take Shelter“, 2011) 7.6
3. „იდენტიფიკაცია“ („Identity“, 2003) 7.3
4. „ლამაზი გონება“ („A Beautiful Mind“, 2001) 8.2

5. „პიჯაკი“ („The Jacket“, 2005) 7.1
6. „საიდუმლო ფანჯარა“ („Secret Window“, 2004) 6.6
7. „სოლისტი“ („The Soloist“, 2009) 6.7
8. „ქეი-პაქსი“ („K-Pax“, 2001) 7.4
9. „შეშლილთა კუნძული“ („Shutter Island“, 2010) 8.1
10. „შეწყვეტილი ცხოვრება“ („Girl, Interrupted“, 2000) 7.4

შემდგომ დამუშავდა მონაცემები და პირველი საფეხურიც იყო კატეგორიზება. გამოიყო 4 თემატური ჯგუფი: შიზოფრენიის გამომწვევი მიზეზები და სიმპტომები; შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების სოციალური ინტეგრაცია; საზოგადოების დამოკიდებულება შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მიმართ; შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მკურნალობის მეთოდები; ამის შემდგომ კი დაიწყო მონაცემთა ანალიზის ეტაპი, რომლის დროსაც განხორციელდა შეგროვილი ინფორმაციის ახსნა სხვადასხვა კვლევის თუ სამეცნიერო ლიტერატურის მეშვეობით.

აღსანიშნავია კვლევის არარეპრეზენტატულობა, ვინაიდან მოიცვა მხოლოდ 10 ფილმი, რაც არ იძლევა ზოგად სურათზე მსჯელობის საშუალებას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფილმებში აღწერილი ამბები არ არის საზოგადოებაში არსებული რეალობა, არამედ ეს არის რეჟისორის თვალით დანახული, რასაც შეიძლება კავშირი არ ჰქონდეს სინამდვილესთან.

შიზოფრენიის გამომწვევი მიზეზები და სიმპტომები

დაკვირვების შედეგად ფილმებში კარგად ჩანს შიზოფრენიის გამომწვევი მიზეზები და მისი სიმპტომები ფილმებში დაავადების გაჩენის საბაბი შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი, მაგალითად ბავშვობაში მიღებული ტრავმა, სექსუალური ძალადობა, სიღარიბეში ცხოვრება, განსაკუთრებული მიდრეკილება საკუთარი პროფესიისადმი და აკვიატებული მიდგომა, მიღებული ემოციური შოკი. ფილმებში ჩანს, რომ ყოველივე ეს მიზეზი არის ადამიანის ცხოვრების თანმდევი და მის პროვოცირებას ხელს უწყობს პიროვნების ემოციური დისფუნქცია.

ჩამოთვლილი მიზეზებიდან ყველაზე მეტ შემთხვევაში გამოვლინდა შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მხრიდან საკუთარი პროფესიისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება და აკვიატებული მიდგომა. პერსონაჟები მთელ დროს უთმობენ იმას, რომ საკუთარ პროფესიაში იყვნენ ლიდერები, მიაღწიონ სრულყოფილებას, ამისათვის კი არ ზოგავენ ძალასა და დროს. საქმისადმი ასეთი განწყობა მათ სოციალურად პასიურ ინდივიდებად აქცევს. მაგალითისათვის: ფილმში „ლამაზი გონება“ (Howard, R. (Producer). (2001). *A Beautiful Mind.* United States: Universal Studios Company) მთავარი გმირი ჯონ ნეში მთელ დროს ატარებს უნივერსიტეტში, რათა პროფესიულად განვითარდეს და მეცნიერებას დაუტოვოს რაიმე ღირებული. აღსანიშნავია მისი სიტყვებიც, როდესაც ცდილობდა მათემატიკური თეორიის დამტკიცებას: „მარცხს ვერ გადავიტან“ [იგივე. 17:00]. ეს მეტყველებს, თუ რამდენად შეიძლება იყოს ადამიანი შეპყრობილი საკუთარი საქმით.

ამ ფენომენზეა საუბარი ნენსი ეისენბერგის (Nancy Eisenberg), რიჩარდ ფაბსის (Richard A. Fabes), მარკ შალერისა (Mark Schaller) და პაულ მილერის (Paul A. Miller) ნაშრომში „თანაგრძნობა და პირადი აშლილობა: განვითარება, გენდერული სხვაობები და ინდექსის თანაფარდობა", რომელიც გამოსცეს 1989 წელს. მათი აზრით, თუ კი ინდივიდი ძალიან გადატვირთულია და ყოველდღიურად ასრულებს გონებრივ სამუშაოებს, ის მენტალური პრობლემების დიდი რისკის ქვეშ დგება მომავალში. აუცილებელია განტვირთვა და ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანა, რათა ადამიანის ტვინმა შეძლოს მოდუნება (Eisenberg, N., Fabes, R., Schaller, M., and Miller, P., 1989, გვ 109).

საგულისხმოა, ასევე, სექსუალური ძალადობისგან გამოწვეული შიზოფრენია, რომელიც ადამიანებს დიდ ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს და მასზე ტოვებს წარუშლელ კვალს. ამას მიჰყავს ინდივიდი სხვადასხვა მენტალურ პრობლემამდე, რომელთაგანაც შიზოფრენია ერთ-ერთი გამოვლინებაა. ხშირად ასეთი ძალადობის ქვეშ მყოფი ინდივიდები ცხოვრებას თვითმკვლელობით ასრულებენ. ეს კარგად ჩანს ფილმში „შეწყვეტილი ცხოვრება", (Mangold, J. (Producer). (2000). *Girl, Interrupted.* United States: Columbia a Sony Pictures Entertainment Company) რომელშიც ერთ-ერთი პერსონაჟი დეიზი, მხოლოდ იმიტომ დაავადდა და მოხვდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომ ის იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, რომელსაც ახორციელებდა მისი მამა, მაგრამ ის წინააღმდეგობას არ უწევდა, თუმცა როდესაც ყველაფერი გააცნობიერა თავი ჩამოიხრჩო.

ამ საკითხზე საუბრობენ დენი ვედინგი (Danny Wedding) და რაიან ნიმიკი (Ryan M. Niemiec) 2014 წელს გამოშვებულ სტატიაში „ფილმები და მენტალური დაავადებები: ფილმების გამოყენება ფსიქოპათოლოგიის გასაგებად". ისინი აღნიშნავენ, რომ სექსუალური ძალადობა დაკავშირებულია ისეთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგებთან, რომლებიც წარუშლელ კვალს ტოვებს თითოეული მსხვერპლის ცნობიერებაში და იწვევს გარკვეული სახის გონებრივ პრობლემებს. სწორედ ამიტომ საკმაოდ ბევრი ადამიანი ასრულებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით (Wedding, D., Niemiec, R., 2014).

რაც შეეხება ადამიანის ცხოვრებაში მიღებულ ემოციურ შოკს, რომელიც ფილმებში შიზოფრენიის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ძალად გვევლინება, მისი მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. შეიძლება სულ მცირე დადებითმა ან უარყოფითმა მოვლენამაც კი გამოიწვიოს ადამიანის ემოციური შოკი. მაგალითად ფილმში „იმედის სხივთა კრებული", (Russel, D. O. (Producer). (2012). *Silver Linings Playbook*. United States: The Weinstein Company) მთავარი გმირის პატრიკის შიზოფრენიის გამომწვევი მიზეზი ის ემოციური ფონი აღამოჩნდა, რომელიც გამოწვეული იყო საყვარელი ადამიანის დაკარგვით.

შიზოფრენიის სიმპტომებიც ფილმებში მრავალფეროვნად არის წარმოჩენილი. უმეტეს შემთხვევაში, ინდივიდებს აქვთ პიროვნული გაორება, ჰალუცინაციები, შიში გარკვეული მოვლენების მიმართ, არიან რეალობასთან აცდენილნი, მათი ქცევა, ხშირ შემთხვევაში, არაადეკვატურია. მაგალითად ფილმში „შეწყვეტილი ცხოვრება" (Mangold, J. (Producer). (2000). *Girl, Interrupted.* United States: Columbia a Sony Pictures Entertainment Company) ფსიქიატრიული

საავადმყოფოს მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში, რომელიც ეხება ერთ-ერთი გმირის სუზანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, საუბარია მის სიმპტომებზე:

„სუზანს აქვს ფსიქიკური აშლილობა, ახასიათებს საკუთარი თავის მიმართ უნდობლობა, ხასიათის ცვალებადობა, ცხოვრებისეული მიზნის არქონა, გადახრა თვითგვემისაკენ, მაგალითად, შემთხვევითი სექსუალური კავშირებისკენ. ის ჯიუტია და პესიმისტური განწყობა აქვს“ [48:19].

ამ თემაზე პატრიცია ოვენმა (Patricia Owen) 2012 წელს მოამზადა კვლევა „გასართობი მედიის მიერ შექმნილი შიზოფრენიის პორტრეტები: თანამედროვე ფილმების კონტენტ-ანალიზი“. აღსანიშნავია, რომ მსახიობების უმეტესობამ შიზოფრენიის პოზიტიური ნიშნები აჩვენა: 67%-ს ჰქონდა უცნაური ილუზიები, 62%- ჰალუცინაციები და 21%-ს არეული აზროვნება ან მეტყველება. ნეგატიური ნიშნები უფრო ცოტა დაფიქსირდა. 83%-მა კი ამ დაავადების გავლენით ძალადობრივი ქმედებები გამოავლინა სხვების მიმართ (Owen, P., 2012).

საყურადღებოა, ასევე, ჰალუცინაციებიც, რომლებიც ფილმების უმეტესობაში გამოვლინდა, როგორც შიზოფრენიით დაავადებული ადამიანის ქცევის ერთ-ერთი მახასიათებელი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პერსონაჟებს სხვადასხვა სახის ჰალუცინაცია აწუხებთ. ზოგიერთ მათგანს ეჩვენება ბუნებრივი კატაკლიზმები, ამის მაგალითია ფილმ „თავშესაფარის“ (Nichols, J. (Producer). (2011). *Take Shelter.* United States: Filmnation Entertainment Company) გმირი კერტისი. ზოგიერთს კი კონკრეტული ან საკუთარი ფანტაზიით შექმნილი ადამიანები. სწორედ მსგავსი ჰალუცინაციები აწუხებს „ლამაზი გონების“ (Howard, R. (Producer). (2001). *A Beautiful Mind*. United States: Universal Studios Company) პერსონაჟს, ჯონ ნეშს. ამ მხრივ საინტერესოა მისი სიტყვები:

„შიზოფრენიაში ყველაზე საშინელი ისაა, რომ არ იცი, რა არის რეალური და რა არა. წარმოიდგინეთ, უეცრად იგებთ, რომ ადამიანები, ადგილები, მოვლენები, რომლებიც თქვენთვის მნიშვნელოვანი იყო, კი არ გაქრნენ, უარესი, ისინი არც არასოდეს ყოფილან. ეს კოშმარია“ [1:15:00].

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კენ დაკუორთი (Ken Duckworth) მიმოიხილავს შიზოფრენიის სიმპტომებს მენტალური დაავადებების საერთაშორისო ალიანსის (N.A.M.I) 2007 წლის ჟურნალში. მისი თქმით:

„პოზიტიური სიმპტომები, ანუ „ფსიქოზური“ სიმპტომები, მოიცავს ბოდვას და ჰალუცინაციებს, რადგანაც პაციენტს მნიშვნელოვანწილად დაკარგული აქვს რეალობასთან კავშირი. “პოზიტიური” დაკავშირებულია ისეთი აშკარა სიმპტომების არსებობასთან, რომლებიც თითქოსდა არ უნდა იყოს ამ დაავადების დროს. ბოდვითი იდეები ადამიანებს აიძულებს დაიჯერონ, რომ გარშემო მყოფნი კითხულობენ მათ აზრებს ან შეთქმულებას აწყობენ მათ წინააღმდეგ, რომ სხვები ჩუმად უთვალთვალებენ, აკონტროლებენ და ემუქრებიან მათ, ან რომ მათ შეუძლიათ სხვა ადამიანების გონების კონტროლირება. ჰალუცინაციები აიძულებენ ადამიანებს გაიგონონ ან დაინახონ ისეთი რამ, რაც სინამდვილეში არ ხდება“ (Duckworth, K., 2007).

საბოლოოდ, როგორც გაირკვა, ფილმებში შიზოფრენიის გამოწვევის სხვადახვა მიზეზი არსებობს. ეს ძირითადად უკავშირდება ადამიანის ცხოვრებაში გადატანილ რაიმე მოვლენას, რომელმაც მასზე უარყოფითად იმოქმედა. რაც შეეხება სიმპტომებს, ისიც განსხვავებულად ვლინდება ინდივიდებში, თუმცა ყველაზე გავრცელებული ფორმა მაინც ჰალუცინაციები და პიროვნების გაორებაა ან დროის შეგრძნების დაკარგვა.

შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების სოციალური ინტეგრაცია

გაანალიზებულ ფილმებში უმეტესწილად მენტალური პრობლემების მქონე პერსონაჟები სოციალური ინტეგრაციის მიხედვით იყოფიან ორ კატეგორიად: ისინი, რომლებიც აქტიურ ცხოვრებას ეწევიან და არ უჭირთ ურთიერთობა ადამიანებთან და ისინი, რომლებიც საკუთარ თავში იკეტებიან.

პირველ კატეგორიაში გაერთიანებული პერსონაჟები, ავადმყოფობის მიუხედავად, აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საქმიანობაში. ისინი ადვილად ამყარებენ კონტაქტს გარშემომყოფებთან და ინტეგრირებულნი არიან. ამის მაგალითს წარმოადგენს ფილმი „იმედის სხივთა კრებული“ (Russel, D. O. (Producer). (2012). *Silver Linings Playbook.* United States: The Weinstein Company), რომლის მთავარი პერსონაჟიც, პატრიკი, ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოსვლის შემდგომ ცდილობს მუშაობის დაწყებას, ძველი ცხოვრებისა და სიყვარულის დაბრუნებას.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ შიზოფრენიით დაავადებული ინდივიდები აგრძელებენ ახლობლებთან, მეგობრებთან, ოჯახთან ურთიერთობას იმის მიუხედავად, ისინი ცხოვრობენ საკუთარ სახლებში თუ მკურნალობენ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. ერთ-ერთ ფილმში „შეწყვეტილი ცხოვრება“ (Mangold, J. (Producer). (2000). *Girl, Interrupted.* United States: Columbia a Sony Pictures Entertainment Company) შიზოფრენიით დაავადებული პაციენტები საავადმყოფოში ყოფნის და მკურნალობის პარალელურად აქტიურად ურთიერთობენ ერთმანეთთან, კავდებიან სხვადასხვა გასართობი აქტივობებით და აგრძელებენ სრულფასოვან სექსუალურ ცხოვრებას.

ამ თემაზე საუბრობს ბრაიან სმიტი (Brian Smith), 2015 წელს ჩატარებულ კვლევაში „მენტალური დაავადებების სტიგმა ფილმებში“ (Mental Illness Stigma in the Media). იგი აღნიშნავს, რომ შიზოფრენიით დაავადებული ადამიანები ფილმებში, ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენილები არიან, როგორც კომუნიკაბელური პიროვნებები. ისინი აქტიურად ერთვებიან სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, იმის მიუხედავად, რომ მძიმე დაავადებასთან უწევთ გამკლავება. აღსანიშნავია ისიც, რომ მენტალური პრობლემების მქონე ინდივიდები საკუთარ საქმიანობაშიც დიდ წარმატებას აღწევენ (Smith, B., 2015).

რაც შეეხება მეორე კატეგორიას, მასში გაერთიანდნენ ის პერსონაჟები, რომლებიც საკუთარ თავში იკეტებიან და დაავადების გამო ვერ ახერხებენ საზოგადოებაში ინტეგრირებას. მათ ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს საშუალებას აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სოციალურ აქტივობაში, იურთიერთონ ოჯახის წევრებთან ან სხვა ადამიანებთან, რადგან ამაში, ხშირ შემთხვევაში, ხელს უშლის მედიკამენტური მკურნალობაც, ამიტომ ისინი ინტროვერტები

ხდებიან და მხოლოდ საკუთარ საქმიანობაში პოულობენ შვებას. სწორედ ასე იქცევა ფილმ „სოლისტის“ (Wright, J. (Producer). (2009). *The soloist.* United States: Universal Studios Company) პერსონაჟი ნატანიელი, რომელიც მართალია საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორდა, მაგრამ მაინც აგრძელებდა საკუთარ საქმეს (ვიოლინოზე დაკვრას) და იმ დიადი მიზნისკენ სწრაფვას, რასაც „ბეთჰოვენად გახდომას“ უწოდებდა.

შიზოფრენიის მქონე ინდივიდებზე, რომლებსაც უჭირთ სოციალური ინტეგრაცია, საუბარია 1999 წელს გამოშვებულ რუნდის (Rund, B) და ბორგის (Borg, N) ნაშრომში „კოგნიტური დეფიციტი და კოგნიტური მომზადება შიზოფრენიით დაავადებულ პაციენტებში: მიმოხილვა“. აქ აღნიშნულია, რომ შიზოფრენის მქონე პირთა მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის შესაძლებლობების ხანგრძლივ დაქვეითებას, რაც გავლენას ახდენს მათი ცხოვრების ხარისხსა და შრომით საქმიანობაზე. ყოველივე ეს იწვევს მათ ჩამოშორებას საზოგადოებისგან და საკუთარ თავში ჩაკეტვას. ისინი ვეღარ არიან სოციალურად აქტიურები და არ აქვთ სრულფასოვანი ცხოვრება (Rund, B. Borg, N. 1999, გვ 100).

საბოლოოდ, კვლევამ დაადგინა, რომ ჰოლივუდის ფილმებში შიზოფრენიით დაავადებული ინდივიდების ნაწილს უჭირს საზოგადოებასთან სოციალური ინტეგრაცია და ისინი ნაკლებად არიან გარემოსთან ადაპტირებულები, ხოლო მეორე ნაწილი კი, მკურნალობის პარარელურად აგრძელებს აქტიურ ცხოვრებას და ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას საზოგადოებაში.

საზოგადოების დამოკიდებულება შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მიმართ

ფილმების ანალიზის შემდგომ გამოვლინდა ორი კატეგორია: პირველმა კატეგორიამ მოიცვა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების დისკრიმინაციას ეწევა, ხოლო მეორე კატეგორიაში გაერთიანდნენ ისინი, რომლებიც შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს გაგებით ეკიდებიან და აღიქვამენ სოციუმის სრულფასოვან და სრულუფლებიან წევრებად.

მოცემული ფილმების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ საზოგადოების მიერ შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების დისკრიმინაცია ძირითადად დამოკიდებულია სტერეოტიპებზე, რომლის გავლენითაც ფორმირდება სტიგმატური აზროვნება. ამის მაგალითია ფილმი „შეწყვეტილი ცხოვრება“, რომელშიც შიზოფრენიით დაავადებულ სუზანს ერთ-ერთი პერსონაჟი, მაშინ, როდესაც იხსენებს საკუთარი მეგობრის ანალოგიურ მდგომარეობას, ეუბნება: „შენც მეწამული ფერის ადამიანებს ხედავ?“ (Mangold, J. (Producer). (2000). *Girl, Interrupted.* [1:19:00] United States: Columbia a Sony Pictures Entertainment Company).

სწორედ სტიგმატიზაციის პრობლემას მიმოიხილავს სარტორიუსი (Sartorius) 2002 წელს მომზადებულ ნაშრომში „მენტალური დაავადებების იატროჰენული სტიგმა“ ის ამბობს, რომ:

„მიუხედავად შიზოფრენიის მკურნალობის პროგრესისა, ამ დიაგნოზის მქონე ადამიანები კვლავ განიცდიან დისკრიმინაციას და თავს გრძნობენ საზოგადოებიდან გარიყულად. მედია საშუალებების მიერ შიზოფრენიასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებამ, ნაწილობრივ, განაპირობა საზოგადოებრივი აზრი, რომ შიზოფრენიის დიაგნოზის მქონე

ადამიანი საშიშია და უმჯობესია, დანარჩენი საზოგადოებისაგან მოშორებით იყოს (Sartorius, 2002, გვ 324).

ფილმების უმეტესობაში საზოგადოება ძირითადად მიიჩნევს, რომ ამ დაავადების მატარებელი ინდივიდი აუცილებლად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა განთავსდეს და იმკურნალოს სხვადასხვა საშუალებით. ისინი ფიქრობენ, რომ ასეთი ადამიანები საზოგადოებისთვის საშიშნი არიან და ერიდებიან მათ. სწორედ ასეთი დამოკიდებულება ჩანს ფილმ „ქეი-პაქსიში“ (Softley, I. (Producer). (2001). *K-Pax.* United States: Universal Studios Company), რომელშიც მთავარი გმირი ბორდერი როგორც კი განსხვავებულად იწყებს ფიქრს და აზროვნებას და საზოგადოებისთვის უჩვეულო ქცევების ჩადენას, მაშინვე ფსიქიატრიულში აგზავნიან.

ანალოგიურ თემაზე 1999 წელს გრანელომ (Granello), პაულმა (Pauley) და კარმაიკლიმ (Carmichael) ჩაატარეს კვლევა, „მედიასთან ურთიერთობის დამოკიდებულება ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანების მიმართ“, რათა გაეგოთ საზოგადოებაში შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მიმართ რომელი მედიასაშუალება ახდენდა ცუდ დამოკიდებულებას და ხელს უწყობდა სტიგმების ჩამოყალიბებას. აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი გავლენის მომხდენი იყო ფილმები. ადამიანები, რომლებიც ინფორმაციას ფილმებიდან იღებდნენ მათ გარკვეული არასწორი შეხედულებები ჰქონდათ ჩამოყალიბებული მენტალური პრობლემების მქონე ინდივიდებზე და ისინი საზოგადოებისათვის საშიშ არსებებად წარმოედგინათ, რომელთა ადგილიც საზოგადოების ნაცვლად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იყო. ამგვარად გამოჩნდა, რომ ფილმებს შეუძლიათ გამოიწვიოს მენტალური დაავადებების ნეგატიური სტიგმატიზაცია (Granello, D. H., Pauley, P. S., Carmichael, A., 1999, გვ 38).

საზოგადოების მხრიდან შიზოფრენიით დაავადებული ადამიანებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება იგრძნობა იმ ძირითად ტერმინებში, რომლითაც მიმართავენ შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს. ასეთია მაგალითად, „გიჟი“, „შეშლილი“, „სულელი“, „ფსიქოპატი“ და სხვა მსგავსი სიტყვები. ჩვენ მიერ შერჩეულ ერთ-ერთ ფილმში „იდენტიფიკაცია“ (Mangold, J. (Producer). (2003). *Identity.* United States: Columbia a Sony Pictures Entertainment Company), მთავარი გმირი, შიზოფრენიით დაავადებული, ენდრიუ ლეტისი ხვდება სასამართლო პროცესზე, სადაც მას მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები მოიხსენიებენ, როგორც გიჟს. ასეთივე დამოკიდებულება ჩანს კიდევ ერთ ფილმში „შეშლილთა კუნძული“, (Scorsese, M. (Producer). (2010). *Shutter Island.* United States: Paramount Pictures Company) რომელშიც გასათვალისწინებელია თვითონ ფილმის სახელი. სწორედ ამ სიტყვით აღინიშნება ის ტერიტორია, სადაც ფსიქიატრიული საავადმყოფო მდებარეობს, რომელშიც მკურნალობენ შიზოფრენიით და სხვა მენტალური დაავადების მქონე ადამიანებს.

ასეთივე შედეგი დაფიქსირდა ლაურენ ბიქუმის (Lauren Beachum) მიერ 2010 წელს ჩატარებულ კვლევაში „ფილმის ფსიქოპათოლოგია: რომელი მენტალური დაავადებები და თერაპია არის აღწერილი ფილმებში“. ამ კვლევაში, ავტორმა ყურადღება გაამახვილა პერსონაჟებს შორის ვერბალურ კომუნიკაციაზე, კერძოდ, იმ სიტყვებზე, რომლებიც გამოიყენება მენტალურად დაავადებული ადამიანების მიმართ. ესენია ძირითადად, „საშიში“, „სუსტი“, „გიჟი“, „შეურაცხადი“ (Beachum, L., 2010).

ფილმების გარკვეულ ნაწილში ჩანს, რომ საზოგადოება შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებს გაგებით ეკიდება და არ ეწევა მათ დისკრიმინაციას. ხშირ შემთხვევაში, ასეთი ადამიანები არიან ოჯახის წევრები. ისინი აცნობიერებენ დაავადების სიმპტომებს, მასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ცდილობენ გვერდით დაუდგნენ ავადმყოფს და შეუმსუბუქონ მდგომარეობა. ასევე, ოჯახის წევრები ეძებენ დაავადების აღმოფხვრის სხვადასხვა გზას. ასეთი დამოკიდებულება ჩანს ფილმებში „ლამაზი გონება“ და „თავშესაფარი“ (Nichols, J. (Producer). (2011). *Take Shelter.* United States: Filmnation Entertainment Company), რომლებშიც მეუღლე ეს არის ერთადერთი ადამიანი, ვინც გვერდით უდგება შიზოფრენიის მანიით შეპყრობილ მეუღლეს.

ფილმებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე მეგობრის ფენომენს. ის ხშირ შემთხვევაში, წარმოჩინდება, როგორც ერთადერთი ადამიანი, რომელიც ავადმყოფს ეხმარება მდგომარეობიდან გამოსვლაში. ახლადგაცნობილი მეგობრის გვერდით დგომა ჩანს ასევე ფილმში „სოლისტი“ (Wright, J. (Producer). (2009). *The soloist.* United States: Universal Studios Company), რომელშიც შიზოფრენიით დაავადებულ ნატანიელს ყოვლად უცხო ჟურნალისტი ლოპესი დაუმეგობრდება და დაიწყებს მისთვის თავშესაფრის ძიებას და ბრძოლას მისი კეთილდღეობისთვის. ეს დამოკიდებულება ჩანს ჟურნალისტის სიტყვებშიც:

„ვარწმუნებ, რომ ეს მისი ადგილი არ არის. ამბობს, რომ აქ დარჩენა უნდა. ამბობს, რომ ეს მისი არჩევანია. არ ვიცი მის სიტყვას დავუჯერო თუ არა. იქნებ თავშესაფარში დაბრუნება ვაიძულო. იქნებ მცირე ძალადობა უფრო ადამიანური საქციელი იყოს, ვიდრე მისი ქუჩაში დატოვება“ (Wright, J. (Producer). (2009). The soloist. [55:25]. United States: Universal Studios Company).

„ეი არ სი-ს“ (ARC) მიერ ჩატარებულ კვლევაში „ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით თვისებრივი კვლევა“, დადგინდა, რომ სპეციალისტების აზრით, პაციენტის გაწერისას უმნიშვნელოვანესია ოჯახისა და მეგობრების მხარდაჭერა. თუ პაციენტს კარგი ოჯახური მხარდაჭერა აქვს, მისი სტაციონარში დაბრუნების ალბათობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე იმ პაციენტის, რომელსაც დაძაბული გარემო აქვს ოჯახში. აღსანიშნავია ისიც, რომ დაავადებულ ადამიანს ასევე ძალიან სჭირდება მეგობრის გვერდით დგომა, რადგან ხშირ შემთხვევაში მასზე დადებით გავლენას ახდენს და ხელს უწყობს გამოჯანმრთელებაში (ეი არ სი, 2016, გვ 42).

საბოლოოდ, ფილმებზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ შიზოფრენიით დაავადებული ზოგიერთი ადამიანი ყოფილა დისკრიმინაციის მსხვერპლი საზოგადოების მხრიდან, ზოგიერთი კი პირიქით მათი დახმარებით და გვერდით დგომით გადალახავს ჯანმრთელობის პრობლემებს.

შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მკურნალობის მეთოდები

ფილმებზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მკურნალობას ძირითადად ფსიქიატრიული საავადმყოფოები უზრუნველყოფს. აქ ინდივიდები ოჯახის სურვილით ხვდებიან ან საჯარო დაწესებულებები გადასცემენ მათ თავს კლინიკებს. მაგალითად ფილმში „შეწყვეტილი ცხოვრება“ (Mangold, J. (Producer). (2000). *Girl, Interrupted*. United States: Columbia a Sony Pictures Entertainment Company), როდესაც ოჯახის წევრები შენიშნავენ

სუზანის უცნაურ ქცევას, ოჯახის ექიმთან ერთად გადაწყვეტენ მის ფსიქიატრიულ კლინიკაში გაგზავნას. საინტერესოა ექიმის სიტყვები: „შენისთანებისათვის საუკეთესო ადგილი ნახევარი საათის სავალზეა“. რომელშიც იგი გულისხმობს ფსიქიატრიულ საავადმყოფოს.

აღსანიშნავია, რომ იგივე შედეგი დაფიქსირდა ვედინგის (Wedding) და ნიმიკის (Niemiec) მიერ 2003 წელს ჩატარებულ კვლევაში „ფილმების კლინიკური გამოყენება ფსიქოთერაპიაში“. ავტორები აღნიშნავენ, რომ ფილმების შესწავლისას გამოვლინდა ფაქტი, რომლის მიხედვითაც შიზოფრენიის განკურნების ერთ-ერთ მთავარ ადგილად ფსიქიატრიული კლინიკები დასახელდა. საზოგადოებას აქვს იმედი, რომ მხოლოდ იქაა შესაძლებელი განკურნება. გარდა ამისა, ფსიქიატრიული საავადმყოფოები სოციუმს ესახება მნიშვნელოვან ინსტიტუტად, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან მოიშოროს საფრთხის შემცველი ავადმყოფები (Wedding, D., Niemiec, R., 2003, გვ 56).

რაც შეეხება უშუალოდ ფილმებში წარმოდგენილ მკურნალობის მეთოდებს, რომელსაც იყენებენ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, შეიძლება პირობითად გავყოთ ორ ჯგუფად: პირველი ეს არის ჰუმანური, ხოლო მეორე არაადამიანური, სასტიკი მეთოდები.

ჰუმანური მეთოდები ძირითადად გამოვლინდა იმ ფილმებში, სადაც მკურნალობის ძირითადი მეთოდები იყო მედიკამენტური, თერაპიული და ექსპერიმენტული მკურნალობა. ეს უკანასკნელი მეთოდი გამოიყენებოდა „შეშლილთა კუნძულში“ (Scorsese, M. (Producer). (2010). *Shutter Island.* United States: Paramount Pictures Company). ექსპერიმენტი გულისხმობდა ექიმების მიერ ტედის გონებაზე გავლენის მოხდენას და ამით უბიძგებდნენ, რომ თვითონ შეეცნო საკუთარი თავი, მაშინ როცა მისი პიროვნება „გახლეჩილი“ იყო.

სწორედ ამაზე საუბრობენ ჯანიკაკი (Janicak, P. G), დევისი (Davis, J. M), პრესკორნი (Preskorn, S. H) და სხვები 1993 წელს ჩატარებულ კვლევაში „ფსიქოფარმაკოთერაპიის პრინციპები და პრაქტიკა“ აქ ნათქვამია, რომ სადღეისოდ შიზოფრენიის სამკურნალოდ როგორც ჰოსპიტალში, ისე ჰოსპიტალგარე დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტები წამყვანია. მედიკამენტური მკურნალობა უფრო ეფექტურია პოზიტიური სიმპტომების სამკურნალოდ, როგორიცაა ბოდვა და ჰალუცინაცია (Janicak, P. G., Davis, J. M., Preskorn, S. H., et al., 1993).

ამის გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ ფილმების ნაწილში წარმოდგენილი ფსიქიატრიული დაწესებულებები პაციენტების მიმართ სადისტური და არაადამიანური სამკურნალო მეთოდების გამოყენებით ხასიათდება. მაგალითად, ფილმში „პიჯაკი“ (Maybury, J. (Producer). (2005). *The Jacket.* United States: Mandalay Pictures Company), რომლის გმირიც ჯეკ სტარკი შიზოფრენიასთან ერთად ამნეზიითაც არის დაავადებული უმკლავდება ექიმის სასტიკ სამკურნალო მეთოდებს. მას დახურულ ყუთში კეტავს ექიმი და აიძულებს გაიხსენოს საკუთარი წარსული, მიუხედავად ჯეკის წინააღმდეგობისა.

ლამპროპოულოს (Lampropoulos, G. K), კაზანტზის (Kasantzis, N) და დიანეს (Deane, F. P) კვლევაში „ფსიქოლოგები იყენებენ მოძრავ სურათებს კლინიკურ პრაქტიკაში“, რომელიც ჩატარდა 2004 წელს, მათი აზრით, ფილმებში ნაჩვენებია სხვადასხვა მკურნალობის მეთოდი. მათ შორის

გამოირჩევა შოკური თერაპია. იგი წარმოდგენილია, როგორც, მჩაგვრელობითი და სადამსჯელო მეთოდი, რომელიც გამოიყენება რთულად დასამორჩილებელი პაციენტების მიმართ. ეს კი საზოგადოებაში გარკვეულ უარყოფით დამოკიდებულებას ამკვიდრებს შოკური თერაპიის მიმართ (Lampropoulos, G. K., Kasantzis, N., & Deane, F. P., 2004, გვ 10).

საბოლოოდ, დასკვნის სახით, გამოვლინდა, რომ ფილმებში ასახულია მკურნალობის ორი საპირისპირო მეთოდი. ერთი მხრივ ეს არის პაციენტებზე პოზიტური გავლენის მომხდენი, რაც მათ ჰუმანურ პირობებში გამოჯანმრთელებას გულისხმობს, ხოლო მეორე მხრივ, ეს არის მკაცრი, სასტიკი მოპყრობა შიზოფრენიით დაავადებულებზე. „აქაურობა ფაშისტური კამერაა, სადაც ხალხს აწამებენ“ სწორედ ასეთია სუზანის მიერ ფსიქიატრიული საავადმყოფოს შეფასება ფილმში „შეწყვეტილი ცხოვრება“.

დასკვნა

ფილმების ანალიზისას გამოვლინდა შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების შემდეგი სახე: უმეტესობა მათგანი პოზიტიურად მთავრდება, რადგან პერსონაჟები ან სრულიად განიკურნენ ან კიდევ ნაწილობრივ. ანალიზისას გამოჩნდა, რომ საბოლოოდ მკურნალობა შედეგის მომცემია, თუმცა მაინც მთავარია ინდივიდის ძალისხმევა, რომ მართოს საკუთარი ემოციები სწორად. ასევე, უმეტეს მათგანში დადებითი რეზულტატის მიღწევაში ჩანს ოჯახის, მეგობრის ან ნათესავის ხელშეწყობა და გვერდით დგომა.

ფილმი „ლამაზი გონება“ გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლო მთავარმა გმირმა ჯონ ნეშმა საკუთარი ჰალუცინაციების მართვა. მართალია, ის ბოლომდე ვერ განიკურნა, თუმცა შეძლო ცხოვრების გაგრძელება და საყვარელი საქმის კეთება. აღსანიშნავია მისი სიტყვები: „მე მათ შეუმჩნევლად ვისწავლე ცხოვრება“ [1:54:00]. აქ იგი გულისხმობს საკუთარ წარმოსახულ სამყაროში მცხოვრებ ადამიანებს.

შიზოფრენიის დაავადებისგან განკურნების თემაზე საუბრობენ ჰარისონი (Harrison, G), ჰოპერი (Hopper, K), კრეიგი (Craig, T) და სხვები 2001 წელს გამოცემულ თავიანთ ნაშრომში „ფსიქოპათიური დაავადებისგან განკურნება: 15 და 25 წლიანი საერთაშორისო კვლევა“, რომელშიც ისინი ასაბუთებენ, რომ საკმაოდ მაღალი პროცენტი რეაგირებს ანტიფსიქოზური მედიკამენტებით მკურნალობაზე. არსებობს მტკიცებულებები, რომ დროული დახმარების მიღება, რომელიც ფარმაკოლოგიურ მკურნალობასთან ერთად სოციალურ და ფსიქოლოგიურ ინტერვენციებსაც მოიცავს, მნიშვნელოვანი ფაქტორია გრძელვადიანი გაუმჯობესების მისაღწევად. გამოჯანმრთელება შეიძლება ნებისმიერ დროს მოხდეს, მრავალი წლის შემდეგაც (Harrison et al., 2001, გვ 178).

ასევე აღსანიშნავია ფილმი „შეწყვეტილი ცხოვრება“, რომელშიც გადმოცემულია შიზოფრენიით დაავადებული ადამიანის სრული განკურნების შემთხვევა. სუზანის საბოლოო სახე ისეთივეა, როგორიც იყო ავადმყოფობამდე. ის თვითონვე აფასებს საკუთარ მდგომარეობას გამოჯანმრთელების შემდეგ:

„რთულია ფიქრების გაკონტროლება, მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ისევ გამიჩნდა ემოცია - ჯანმრთელი ვარ თუ შეშლილი? როგორიც არ უნდა ვყოფილიყავი ვიცოდი, რომ გარესამყაროში დაბრუნება მხოლოდ თერაპიის სეანსებზე ექიმთან საუბრით იყო შესაძლებელი. ამიტომ კვირაში სამჯერ დავდიოდი. მას ბოლომდე ვენდობოდი და ყველაფერს ვუყვებოდი. ფროიდის დახმარებით მე სულიერი წონასწორობა მოვიპოვე. ვიყავი კი შეშლილი? არ ვიცი. იქნებ უბრალოდ ასეთი ცხოვრება გვაქვს" [1:45:00].

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ინგლისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ 2005 წელს საკუთარ ჟურნალში გაკეთებული განმარტება:

„გამოჯანმრთელება არის განცდა, როცა ადამიანი (ავადმყოფობის შემდგომ) საკუთარ თავში გრძნობს საკმარის ძალებს, რათა დაუბრუნდეს სრულყოფილ და აზრიან ცხოვრებას იმ საზოგადოებაში, რომელსაც ის თავის თავს მიაკუთვნებს. გამოჯანმრთელება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ადამიანებს აღუდგათ სრული ჯანმრთელობა, მაგრამ გულისხმობს, რომ პიროვნების „კარგად ყოფნის" მდგომარეობა სტაბილურია და ის ოპტიმალურად იყენებს საკუთარ რესურსებს, მიუხედავად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის ან არარსებობის და შესაძლო თანმხლები უარყოფითი შედეგებისა" (The National Institute for Mental Health in England, Guiding Statement on Recovery, 2005).

ამგვარად, ფილმებში შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების საბოლოო სახე მაინც დადებითადაა წარმოჩენილი და მაყურებელს აჩვენებს, რომ შესაძლებელია არსებული სირთულიდან თავის დაძვრენა და ძველი ცხოვრების გაგრძელება. ამისათვის კი მთავარია ბრძოლა და საკუთარი თავის მართვა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ფილმებში ასახული ისტორები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს სინამდვილეს, რადგან ისინი რეჟისორის თვალით დანახული რეალობაა. თითოეული სცენა ავტორის სუბიექტური შეხედულებებისა და წარმოდგენების საფუძველზე იქმნება, რის გამოც ფილმი ვერ გამოდგება იმისთვის, რომ გვიჩვენოს საზოგადოებაში არსებული მდგომარეობა.

ბიბლიოგრაფია

1. გერიგი, რ., ზიმბარდო, ფ., (2009). *ფსიქოლოგია და ცხოვრება.* თბილისი.
2. ეი არ სი., (2016). *ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით თვისობრივი კვლევა.*
3. ნაკაშიძე, ე., ყუბანეიშვილი, ი., (1955). *ფსიქიატრია.* თბილისი: ცოდნა
4. Aracena, Y., (2012). *Psychosis in Films: An Analysis of Stigma and the Portrayal in Feature Films.* New York.
5. Beachum, L., (2010). *The Psychopathology of Cinema: How Mental Illness and Psychotherapy are Portrayed in Film.* Grand Valley State University
6. Demare, N., (2016). *Exaggerations and Stereotypes of Schizophrenia in Contemporary Films*
7. Domino, G., (1983). *Impact of the film, "One Flew Over the Cuckoo's Nest," on attitudes toward mental illness.* Arizona: University of Arizona

8. Duckworth, K., (2007). *Mental Illness and symptoms.* N.A.M.I Publication

9. Eisenberg, N., Fabes, R., Schaller, M., and Miller, P., (1989). *Sympathy and Personal Distress: Development, Gender Differences, and Interrelations of Indexes.* Wiley Periodicals

10. Granello, D. H., Pauley, P. S., Carmichael, A. (1999). *Relationship of the media to attitudes toward people with mental illness.* New York: American Counseling Association

11. Granello, D. H., (2000). *Television viewing habits and their relationship to tolerance toward people with mental illness*.

12. Harrison, G., Hopper, K., Craig T., et al. (2001). *Recovery from psychotic illness: a 15- and 25-year international follow-up study*. British Journal of Psychiatry

13. Hyler, S., (1991). *Homicidal maniacs and narcissistic parasites: stigmatization of the mentally ill persons in movies.* New York.

14. Janicak, P. G., Davis, J. M., Preskorn, S. H., et al. (1993) *Principles and Practice of Psychopharmacotherapy.* New York: LWW

15. Jamieson, P., Romer, D., & Jamieson, K., (2006). *Do films about mentally disturbed characters promote ineffective coping in vulnerable youth?*. New York: Elsevier

16. Lampropoulos, G. K., Kasantzis, N., & Deane, F. P. (2004). *Psychologists' use of motion pictures in clinical practice.* Washington

17. Levin, A., (2001). *Violence and Mental Illness: Media Keep Myths Alive.* New York: American Psychiatric Association

18. Owen, P., (2012). *Portrayals of schizophrenia by entertainment media: a content analysis of contemporary movies.* Santa Maria: St. Mary's University

19. Rund, B., Borg, N., (1999). *Cognitive deficits and cognitive training in schizophrenic patients: a review.* Copenhagen: Munksgaard

20. Sartorius, N. (2002) *Iatrogenic stigma of mental illness*. London: British Medical Journal.

21. Smith, B., (2015). *Mental Illness Stigma in the Media.* New York: Fisher Digital Publications.

22. The National Institute for Mental Health in England, (2005) *Guiding Statement on Recovery.* New York

23. Wedding, D., Niemiec, R., (2003). *The clinical use of films in psychotherapy.* Wiley Periodicals

24. Wedding, D., Niemiec, R., (2014). *Movies and Mental Illness: Using Films to Understand Psychopathology.* Boston: Hogrefe Publishin